სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

სასტუმრო „მარანი“

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 27 დეკემბერი, 2021 წელი

უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და პრაქტიკის ინტეგრირების, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და სასტუმრო „მარანი“ თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- ცალკეული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები უფლებამოსილების, შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის ფარგლებში აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.2. მხარეები უფლებამოსილების, შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის ფარგლებში გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და თავიანთი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო სემინარებსა და კურსებს.

1.3. მხარეები უფლებამოსილების, შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის ფარგლებში ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

1.4. სასტუმრო „მარანი“ უფლებამოსილების, შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის ფარგლებში უზრუნველყოფს სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის გავლას.

1.5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი პრაქტიკის დაგეგმვის დროს გაითვალისწინებს:

- პრაქტიკის ობიექტში სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა არაუმეტეს 10 სტუდენტისა ერთი სემესტრის განმავლობაში;
- პრაქტიკის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო კურსით დადგენილ ვადას;
- პრაქტიკის მიზანია სასწავლო პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება, ახალი კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- პრაქტიკის კონკრეტული ვადები განისაზღვრება მხარეებს შორის მოლაპარაკებით უნივერსიტეტის შესაბამისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

1.6. სასტუმრო „მარანი" თავისი უფლებამოსილების, შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების პროცესში.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სასტუმრო „მარანის"
დირექტორი

ვ. დავითაძე

საქართველო, ბათუმი
გიორგი ბრწყინვალეს ქ. N 24
ტ. +995 599 18 23 40
ელ.ფოსტა: maranitour@gmail.com
ვებ.გვ. http://maranibatumi.ge

სსიპ - ბათუმის ხელოვნების
სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

მ. ჭიჭილეიშვილი

საქართველო, ბათუმი
ვაჟა-ფშაველას ქ. N 32
ტ. +995 593 362361
ელ.ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ.გვ. batu.edu.ge